ბერგენის უნივერსიტეტის (ნორვეგია) გაცვლითი პროგრამა ანთროპოლოგებისთვის საზღვარგარეთ საველე სამუშაოებისა და ბერგენის უნივერსიტეტში კვლევის განხორციელებისათვის

თსუ ეთნოლოგიის ინტიტუტისა და ბერგენის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსიტუტის თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში (NorGePart) თსუ ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტებს საშუალებე ეძლევათ დაუფინანსდეთ სამთვიანი ეთნოგრაფიული საველე სამუშაოები საზღვარგარეთ და შემდეგ ეწვიონ ბერგენის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის ინსიტუტს სამთვიანი კვლევითი ვიზიტით,

კვლევით ვიზიტორს საშუალება ექნება:

- ჩაატაროს საველე ეთნოგრაფიული კვლევა საქართველოს საზღვრებს გარეთ,

  რომლის ხარჯებსაც პროექტი დაფარავს სტიპენდიის სახით.

- კვლევის დასრულების შემდგომ კანდიდატი გაემგზავრება ნორვეგიაში, ბერგენის უნივერსიტეტში, სადაც დაენიშნება ხელმძღვანელი, რომელიც აკადემიურ კონსულტაციას გაუწევს საკვლევ პროექტზე მუშაობის პროცესში.
- ინსტიტუტის ოფისში გამოეყოფა სამუშაო ადგილი და კომპიუტერი. ასევე გადაეცემა უნივერსიტეტის ვიზიტორის ბარათი, რომელიც მისცემს წვდომას ყველა იმ მატერიალურ ტექნიკურ ბაზასთან, რომლითაც სარგებლობენ უნივერსიტეტის თანამშრომლები.
- დაესწროს და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ანთროპოლოგიის ინსტიტუტის აკადემიურ ღონისძიებებში (მათ შორის ყოველკვირეულ სემინარებში, რომელსაც სტუმრობენ სხვადასხვა ქვეყნის წამყვანი ანთროპოლოგები.

  ხანგრძლივობა:

1. საველე სამუშაოები: სამი თვე
2. ბერგენის უნივერსიტეტში კვლევითი ვიზიტი: სამი თვე

ვიზიტის დრო:
· კონკრეტული პერიოდი შეთანხმებული იქნება აპლიკანტთან.

პროგრამა დაფარავს:

- მგზავრობის ხარჯებს;
- დოქტორანტი მიიღებს ყოველთვიურ სტიპენდიას საველე კვლევისა და ბერგენის უნივერსიტეტში კვლევითი ვიზიტის პერიოდში, ექვსი (3+3) თვის განმავლობაში

აპლიკანტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ფლობდეს ინგლისურ ენას.
- იყოს თსუ ანთროპოლოგიის მიმართულების დოქტორანტი.
- იყოს სადოქტორო კვლევის ადრეულ ეტაპზე.
- ჰქონდეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკვლევი გეგმა რომლის განხორციელებასაც გეგმავს პროექტის ფარგლებში.

აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. CV ინგლისურ ენაზე.
2. სადოქტორო კვლევის აღწერა და შემოთავაზებულ ქვეყანაში ეთნოგრაფიული საველე სამუშაოების ჩატარების დასაბუთება (მაქსიმუმ ორი გვერდი).
3. სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე. სამოტივაციო წერილში უნდა იყოს ჩამოყალიბებული თუ რატომ არის აპლიკანტისათვის მნიშვნელოვანი აღნიშნული კვლევითი ვიზიტი. ასევე, იგი უნდა შეიცავდეს მკაფიო გეგმასა და მიზნებს, თუ რა საკითხზე იმუშავებს დოქტორანტი და რა სახის ინტელექტუალურ მხარდაჭერას მოელის ის ამ კონკრეტულ საკითხზე მუშაობისას ბერგენის უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისაგან. ყურადღება მიექცევა წერილის ენობრივ მხარესაც.

დოკუმენტაცია უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:
ketevan.khutsishvili@tsu.ge
giorgi.cheishvili@uib.no

საბუთების შემოტანის ბოლო ვადაა**: 2021 წლის 15** დეკემბერი გისურვებთ წარმატებებს!